<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.05.2025, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, წერილობით მიმართოს პარლამენტს ან საჯაროდ განაცხადოს გადადგომის შესახებ. ეს ფაქტი ეცნობება პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

2. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებს პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წერილობითი განცხადების პარლამენტის თავმჯდომარისთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება პარლამენტის თავმჯდომარის აღნიშნულ მოადგილეს.“.

3. 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 32-ე მუხლის:

ა) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომიტეტში წევრის წარდგენის შესახებ ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტსა და პარლამენტის ბიუროს ან პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი/პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია ამოწმებს ფრაქციის მიერ კომიტეტში წევრის წარდგენის ამ რეგლამენტთან შესაბამისობას და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ ამ რეგლამენტის შესაბამისად წარდგენილი წევრი კომიტეტში დანიშნულად მიიჩნევა შესაბამისი ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს/პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე წარდგენის მომენტიდან. აღნიშნული ინფორმაციის

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის შემთხვევაში ეს ფაქტი ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

6. უფრაქციო პარლამენტის წევრის კომიტეტში გაწევრება ხდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით, პარლამენტის წევრის პირადი განცხადების საფუძველზე. თუ ამ რეგლამენტის შესაბამისად წარდგენილია სათანადო კვოტაზე მეტი უფრაქციო პარლამენტის წევრის განცხადება კომიტეტში გაწევრების შესახებ, მათი ამ კომიტეტში გაწევრების საკითხი წყდება მათ შორის შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში – წილისყრით პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. უფრაქციო პარლამენტის წევრი პარლამენტის ორგანოში ან საპარლამენტო თანამდებობაზე საქმიანობას წყვეტს ამ რეგლამენტის შესაბამისად მისი მონაწილეობით შექმნილი ფრაქციის რეგისტრაციის ან მისი ფრაქციაში გაწევრების მომენტიდან. თუ უფრაქციო პარლამენტის წევრებს შეუმცირდათ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, ისინი ვალდებული არიან კვოტების შესაბამისად თვითონ განსაზღვრონ პარლამენტის ამა თუ იმ ორგანოდან გამოსვლის საკითხი. უფრაქციო პარლამენტის წევრთა მიერ აღნიშნული ვალდებულების 1 კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში პარლამენტის ამა თუ იმ ორგანოდან შესაბამისი უფრაქციო პარლამენტის წევრის გამოწვევის საკითხს სათანადო ორგანოს სხდომაზე წილისყრით წყვეტს სხდომის თავმჯდომარე.“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დამტკიცების შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრის კომიტეტში გაწევრება ხდება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის წერილობითი განცხადების საფუძველზე. ეს განცხადება წარედგინება პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტსა და პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

5. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომიტეტის შემადგენლობიდან მისი გასვლის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით;“.

6. 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის საკითხი აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უფლებამოსილებას იძენს კომიტეტის მიერ მისი არჩევისთანავე.“.

7. 36-ე მუხლის მე-3–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გადადგეს. გადადგომის შესახებ მისი წერილობითი განცხადება წარედგინება პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. გადადგომის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარის წერილობითი განცხადების

პარლამენტის ბიუროსთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარეს.

4. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გადადგეს. გადადგომის შესახებ მისი წერილობითი განცხადება წარედგინება შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს. კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებს კომიტეტს, რაც აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში. გადადგომის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის წერილობითი განცხადების კომიტეტის თავმჯდომარისთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება კომიტეტის თავმჯდომარის აღნიშნულ მოადგილეს.

5. ამ რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს მისი წარდგენით არჩეული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს. კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ აცნობებს კომიტეტს, რაც აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წერილობითი განცხადების კომიტეტის თავმჯდომარისთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება კომიტეტის თავმჯდომარის აღნიშნულ მოადგილეს.“.

8. 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი წყვეტს პარლამენტის ორგანოში ან საპარლამენტო თანამდებობაზე საქმიანობას ამ ფრაქციის გაუქმების ან მისი ამ ფრაქციიდან გასვლის ან გარიცხვის მომენტიდან. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი წყვეტს პარლამენტის ორგანოში ან საპარლამენტო თანამდებობაზე საქმიანობას იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ფრაქციამ გამოიწვია იგი აღნიშნული ორგანოდან/თანამდებობიდან. თუ ამ რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფრაქცია მის მიერ წარდგენილი წევრის პარლამენტის ორგანოდან ან საპარლამენტო თანამდებობიდან გამოწვევის შესახებ წერილობით განცხადებას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, ხოლო აღნიშნული პირი წყვეტს ამ ორგანოში/თანამდებობაზე საქმიანობას შესაბამისი ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. ფრაქციას უფლება აქვს, წარადგინოს ახალი კანდიდატურა.“.

9. 54-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პარლამენტის წევრი ფრაქციაში გაწევრებულად მიიჩნევა შესაბამისი ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. ფრაქციის წევრი ფრაქციიდან გასულად ან გარიცხულად მიიჩნევა ამის შესახებ ამ მუხლით დადგენილი წესით პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტისთვის წერილობით შეტყობინების მომენტიდან. ამ მუხლის მე-9 პუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევაში ფრაქციის წევრი ფრაქციიდან გასულად მიიჩნევა მის მიერ ფრაქციიდან გასვლის შესახებ განცხადების წარდგენისთანავე, ხოლო ფრაქციიდან გარიცხულად – ფრაქციის მიერ მისი გარიცხვისთანავე. ამასთანავე, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პარლამენტის წევრი შესაბამის ფრაქციაში გაწევრებულად მიიჩნევა მის მიერ ფრაქციაში გაწევრების შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან.“.

10. 61-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრების წარდგენის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა იმართება დროებითი საგამოძიებო კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა.“.

11. 63-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება დროებით საგამოძიებო კომისიას.“.

12. 72-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დროებითი კომისიის წევრების წარდგენის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან არაუგვიანეს 10 დღისა იმართება დროებითი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა.“.

13. 74-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება დროებით კომისიას.“.

14. 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომები, გარდა საგანგებო და საომარი მდგომარეობებისა, იმართება, როგორც წესი, პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს, 12 საათიდან 21 საათამდე. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სხდომის თავმჯდომარე საჭიროებისამებრ აცხადებს შესვენებას. 21 საათის შემდეგ პარლამენტის პლენარული სხდომა შეიძლება გაგრძელდეს მიმდინარე საკითხის დასრულებამდე ან ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ ამას ღია კენჭისყრით (ხელის აწევით) მხარს დაუჭერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა უმრავლესობა. პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომის პარლამენტის პლენარული სხდომების კვირის სხვა დღეს გამართვის შესახებ.“.

15. 96-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონპროექტის ინიციატორს უფლება აქვს გაითხოვოს მის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი მესამე მოსმენით მიღებამდე. ამ უფლებით სარგებლობისთვის აღნიშნული კანონპროექტის ყველა მოქმედი ინიციატორი, ხოლო თუ იგი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია ამომრჩეველთა მიერ, შესაბამისი საინიციატივო ჯგუფი წერილობით მიმართავს პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“;

ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფრაქციის გაუქმების შემთხვევაში მის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ იმ კანონპროექტზე, რომელიც განხილვის პროცესშია და პირველი მოსმენით არის მიღებული, მომხსენებელს დანიშნავს წამყვანი კომიტეტი. ამის შესახებ წამყვანი კომიტეტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს. აღნიშნული წესები ვრცელდება აგრეთვე პარლამენტის წევრის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ იმ კანონპროექტზე, რომლის ყველა ინიციატორს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და რომელიც განხილვის პროცესშია და პირველი მოსმენით არის მიღებული. ამ პუნქტით გათვალისწინებული ის კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით არ არის მიღებული, გათხოვილად მიიჩნევა წამყვანი კომიტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

16. 99-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების, დადგენილებების პროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებით განსაზღვრული წესები ვრცელდება აგრეთვე პარლამენტის იმ დადგენილებების პროექტებზე, რომლებიც პარლამენტს წარედგინება კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენისთვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული წესები ვრცელდება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზედაც, რომლებიც რატიფიცირებისთვის, შეერთებისთვის, დენონსირებისთვის ან გაუქმებისთვის წარედგინა პარლამენტს. წამყვანი კომიტეტი ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან იმ ხელშეკრულებების ნუსხას, რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელებასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს იგი, პარლამენტის ბიუროს წარუდგენს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.“.

17. 102-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომიტეტის სხდომაზე განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნა გათვალისწინებულად მიიჩნევა, თუ ის გამოთქვა ან მას დაეთანხმება მომხსენებელი ან კენჭისყრის შედეგად მას გაიზიარებს კომიტეტი. შენიშვნის კენჭისყრაზე დასაყენებლად ის წარდგენილი უნდა იყოს ალტერნატიული წინადადების სახით ან ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

5. კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კომიტეტის მიერ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვისთვის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას. თუ კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის ორი თანამიმდევრული მორიგი სესიის განმავლობაში კომიტეტის მიერ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში მოწვეულ კომიტეტის სხდომაზე არ გამოიტანს კანონპროექტს, იგი პარლამენტიდან გათხოვილად მიიჩნევა, ხოლო კანონპროექტის მეორე ან მესამე მოსმენით განხილვის შემთხვევაში მისი განხილვა წყდება წამყვანი კომიტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენის მომენტიდან, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

18. 106-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნა გათვალისწინებულად მიიჩნევა, თუ ის გამოთქვა ან მას დაეთანხმება მომხსენებელი.“.

19. 108-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საკანონმდებლო პაკეტის მესამე მოსმენით განხილვის დასრულების შემდეგ საკანონმდებლო პაკეტში შემავალ იმ პროექტებზე (მათ საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტებზე), რომელთა მისაღებად თანაბარი რაოდენობის ხმებია საჭირო, კენჭისყრა ერთიანად იმართება, თუ კენჭისყრაში მონაწილე პარლამენტის რომელიმე წევრი კენჭისყრის წინ არ მოითხოვს აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალ თითოეულ პროექტზე კენჭისყრის ცალკე გამართვას.“.

20. 113-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს მის სამივე მოსმენით განხილვასა და მიღებას 1 კვირის განმავლობაში, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 1 დღეს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება დასაშვებია ერთზე მეტი მოსმენით, მაგრამ არაუმეტეს ორისა. ამასთანავე, 1 დღეს დასაშვებია კანონპროექტის მხოლოდ მეორე და მესამე მოსმენებით განხილვა და მიღება. თუ კანონპროექტის თაობაზე მიღებულია დაჩქარებული წესით

განხილვის შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება და დაიწყო მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ იმავე კვირის განმავლობაში იგი არ იქნა მიღებული სამივე მოსმენით, მისი ამ რეგლამენტის შესაბამისად განხილვა შეიძლება გაგრძელდეს დაჩქარებული წესით მომდევნო პლენარული სხდომის (სხდომების) კვირაში. ამ შემთხვევაში პარლამენტის ბიურო განსაზღვრავს აღნიშნული კანონპროექტის განხილვის ახალ ვადას.“.

21. 132-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალდებული არიან ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც რატიფიცირებას არ საჭიროებს, პარლამენტს აცნობონ მისი დადებიდან 1 თვის ვადაში და გადასცენ მას ეს საერთაშორისო ხელშეკრულება. ეს ინფორმაცია წარედგინება პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად.“.

22. 138-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილება შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამის, შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილება შესაძლებელია შეტანილ იქნეს აგრეთვე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ შენიშვნას გამოთქვამს ან გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.“.

23. 149-ე მუხლის:

ა) პირველი–მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის მორიგი სესიის მიმდინარეობისას მორიგი სხდომების კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს ან/და ხუთშაბათს ამ მუხლის შესაბამისად იმართება ინტერპელაცია, თუ ეს დღე დეკემბრის რომელიმე დღეს ან პარლამენტის წინაშე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენებით წარდგომის კვირის რომელიმე დღეს არ ემთხვევა. პარლამენტის მორიგი სესიის მიმდინარეობისას თვის ბოლო მორიგი სხდომების კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ამ მუხლის შესაბამისად იმართება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინტერპელაცია, თუ ეს დღე დეკემბრის ან ივნისის რომელიმე დღეს არ ემთხვევა. ერთი და იგივე სუბიექტი 1 თვის განმავლობაში პარლამენტის წინაშე ინტერპელაციის წესით წარდგება მხოლოდ ერთხელ.

2. ინტერპელაცია ვრცელდება საქართველოს მთავრობაზე, მთავრობის წევრზე, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოზე. ინტერპელაცია იმართება წერილობითი და ზეპირი შეკითხვების დასმის პროცედურით. ინტერპელაციის წესით

შეკითხვის დასმის უფლება აქვს ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს. შეკითხვის ადრესატი ვალდებულია შეკითხვას უპასუხოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შეკითხვაზე პასუხის წერილობით წარდგენა სავალდებულო არ არის.

3. პარლამენტის წინაშე ინტერპელაციის წესით წარდგება ის სუბიექტი, რომლის მიმართაც ინტერპელაციის წესით წერილობითი შეკითხვა დაისვა არაუგვიანეს პარლამენტის მორიგი სხდომების კვირის წინა კვირის ოთხშაბათისა. ამ შეკითხვის შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და უნდა ეხებოდეს შეკითხვის ადრესატის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხს. აღნიშნული შეკითხვა ჰბარდება პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარე მას გადასცემს შეკითხვის ადრესატს არაუგვიანეს პარლამენტის მორიგი სხდომების კვირის წინა კვირის ხუთშაბათისა. წერილობითი შეკითხვის ავტორს უფლება აქვს, ეს შეკითხვა ნებისმიერ დროს გაითხოვოს, რა შემთხვევაშიც ამ შეკითხვაზე საპასუხოდ მისი ადრესატი პარლამენტის წინაშე ინტერპელაციის წესით აღარ წარდგება.

4. ინტერპელაციის გამართვის დროს წერილობითი შეკითხვის ავტორსა და ადრესატთან კონსულტაციის საფუძველზე განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო. 1 დღის განმავლობაში გამართული ყველა ინტერპელაციის პროცედურის საერთო ხანგრძლივობა 3 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ეს დრო შეიძლება გახანგრძლივდეს მიმდინარე ინტერპელაციის პროცედურის დასრულებამდე, თუ ამას ღია კენჭისყრით (ხელის აწევით) მხარს დაუჭერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა უმრავლესობა. თუ ივარაუდება, რომ ინტერპელაციის წესით დასმული შეკითხვების რაოდენობის გამო ამ პუნქტით გათვალისწინებული 3-საათიანი დროის დაცვა შეუძლებელია, პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია შეამციროს ამ მუხლით განსაზღვრული დროები და დაადგინოს სხვა განრიგი ან შეკითხვების ნაწილზე საპასუხოდ ინტერპელაციის პროცედურა ინტერპელაციის სხვა დღეს გადაიტანოს.“;

ბ) მე-5–მე-10 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

24. 155-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ პირი ნდობის ჯგუფის წევრად წარდგენილია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ეს ინფორმაცია აისახება პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში და წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას, რაც ფორმდება იმავე პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით. აღნიშნული ინფორმაციის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენის მომენტიდან შესაბამისი პირი იძენს ნდობის ჯგუფის წევრის უფლებამოსილებას.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფრაქციას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეცვალოს მის მიერ წარდგენილი ნდობის ჯგუფის წევრი. ფრაქცია ამის შესახებ წერილობით მიმართავს პარლამენტს. თუ ეს მიმართვა შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს, სათანადო ინფორმაცია აისახება პარლამენტის

პლენარული სხდომის დღის წესრიგში და წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას, რაც ფორმდება იმავე პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით. აღნიშნული ინფორმაციის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენის მომენტიდან ნდობის ჯგუფის შესაბამის წევრს უწყდება ნდობის ჯგუფის წევრის უფლებამოსილება, ხოლო თუ მისი შეცვლა ხორციელდება, იმავდროულად უფლებამოსილებას იძენს ნდობის ჯგუფის ახალი წევრი.“.

25. 175-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტი მისთვის წარდგენილ ანგარიშს განიხილავს ამ მუხლით დადგენილი წესით, თუ ამ რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშად მიიჩნევა მხოლოდ ის ანგარიში, რომლის პარლამენტისთვის წარდგენასაც უშუალოდ ითვალისწინებს საქართველოს საკანონმდებლო აქტი.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ანგარიში პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას წამყვანი კომიტეტის, ფრაქციის ან პარლამენტის ბიუროს წევრის მოთხოვნის საფუძველზე მხარს დაუჭერს პარლამენტის ბიურო. წამყვან კომიტეტს უფლება აქვს, ეს მოთხოვნა ასახოს ანგარიშის შესახებ თავის დასკვნაში, ხოლო ფრაქციას, პარლამენტის ბიუროს წევრს უფლება აქვს, პარლამენტის ბიუროს აღნიშნული მოთხოვნით მიმართოს წამყვანი კომიტეტის მიერ ანგარიშის შესახებ თავისი დასკვნის პარლამენტის ბიუროსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. ეს პუნქტი არ ვრცელდება იმ ანგარიშზე, რომლის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის ვალდებულება ამ რეგლამენტიდან გამომდინარეობს.“;

გ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ანგარიშის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის შემთხვევაში მისი განხილვის დასრულების შემდეგ პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი დადგენილება.“.

26. მე-200 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 200. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის – მეურვის არჩევის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის – მეურვის (შემდგომ – მეურვე) უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, როგორც წესი, არაუადრეს 45 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, როგორც წესი, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი კვოტის მქონე სუბიექტი პარლამენტს წარუდგენს მეურვეობის კანდიდატს და ამ პირის წერილობით თანხმობას მეურვედ არჩევის შესახებ. მეურვის 1 თანამდებობაზე პირის ასარჩევად პარლამენტს

წარედგინება მეურვეობის მხოლოდ 1 კანდიდატი. თუ პირი მეურვის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტს წარუდგინა არასათანადო სუბიექტმა ან სათანადო სუბიექტმა მეურვის 1 თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტს წარუდგინა 1-ზე მეტი პირი, არცერთი ასეთი პირი არ მიიჩნევა მეურვეობის კანდიდატად წარდგენილად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წარდგინება და მისთვის დართული დოკუმენტები დაუყოვნებლივ გადაეცემა პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს. პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, როგორც წესი, 2 კვირის ვადაში, შეისწავლის და განიხილავს მეურვის კანდიდატურის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს, რის შედეგსაც თავის დასკვნაში ასახავს. მეურვეობის კანდიდატი და მისი წარმდგენი სუბიექტი ვალდებული არიან პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს სრულყოფილად და დროულად მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. ამასთანავე, აღნიშნული კომიტეტი უფლებამოსილია მოიძიოს ან/და გადაამოწმოს მეურვეობის კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაცია.

3. პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი კომიტეტის საჯარო სხდომაზე უსმენს მეურვეობის კანდიდატს. მეურვეობის კანდიდატი ვალდებულია კომიტეტს გააცნოს თავისი კონცეფცია საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების შესახებ და უპასუხოს კომიტეტის სხდომაზე დასმულ შეკითხვებს. პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი მეურვის კანდიდატურის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის შესწავლისა და განხილვის საფუძველზე, აგრეთვე მეურვეობის კანდიდატის კომიტეტის საჯარო სხდომაზე მოსმენის შედეგად გასცემს რეკომენდაციას მეურვეობის კანდიდატის მეურვედ არჩევის ან არჩევაზე უარის თქმის თაობაზე. ეს რეკომენდაცია აისახება კომიტეტის დასკვნაში.

4. მეურვეობის კანდიდატის კომიტეტის საჯაროს სხდომაზე მოსმენის შემდეგ პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი თავის დასკვნას მეურვეობის კანდიდატის წერილობით თანხმობასა და სხვა სათანადო დოკუმენტებთან ერთად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. კომიტეტის დასკვნა და აღნიშნული დოკუმენტები ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. პარლამენტის ბიუროს მეურვის არჩევის საკითხი შეაქვს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

5. პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განხილვის გარეშე მართავს კენჭისყრას მეურვეობის კანდიდატის მეურვედ ასარჩევად. მეურვეობის კანდიდატი მეურვედ აირჩევა, თუ მას კენჭისყრისას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ მეურვეობის კანდიდატი კენჭისყრის შედეგად ვერ იქნა არჩეული, მისი წარმდგენი სუბიექტი, როგორც წესი, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა ამ მუხლის შესაბამისად პარლამენტს მეურვეობის ახალ კანდიდატს წარუდგენს, რის შემდეგაც ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურები ხელახლა გაიმართება.

6. მეურვეობის კანდიდატს ან მის წარმდგენ სუბიექტს უფლება აქვს, ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულებამდე უარი თქვას მეურვედ მის არჩევაზე. აღნიშნული უარის სათქმელად მეურვეობის კანდიდატი ან მისი წარმდგენი სუბიექტი პარლამენტს სათანადო წერილობითი განცხადებით მიმართავს. ასეთი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში მეურვეობის აღნიშნული კანდიდატის მიმართ შეწყდება ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურები, ხოლო მისი წარმდგენი სუბიექტი, როგორც

წესი, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა ამ მუხლის შესაბამისად პარლამენტს მეურვეობის ახალ კანდიდატს წარუდგენს, რის შემდეგაც ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურები ხელახლა გაიმართება.“.

27. 207-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გენერალური აუდიტორის წერილობითი განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება პარლამენტს და გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. გადადგომის შესახებ გენერალური აუდიტორის წერილობითი განცხადების პარლამენტისთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება გენერალურ აუდიტორს.“.

28. 212-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ ან „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფაქტის გამოვლენიდან ან ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 კვირის ვადაში ამ რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-9, მე-10 ან მე-11 პუნქტის შესაბამისად შეისწავლის აღნიშნული ფაქტის ნამდვილობის საკითხს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ აღნიშნული ფაქტის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში იმავე ფაქტის დადგომის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წერილობითი განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება პარლამენტს და გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით. გადადგომის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წერილობითი განცხადების პარლამენტისთვის წარდგენის მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.“.

29. 213-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია წარედგინება პარლამენტს და გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

30. 220-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 220. საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება

პარლამენტი საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომის დღეს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. აღნიშნული თარიღის შეცვლა შესაძლებელია პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიმართვის დასრულებით ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა სრულდება.“.

31. 232-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეთიკის საბჭოს შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია წარედგინება პარლამენტის ბიუროს, რაც ფორმდება პარლამენტის ბიუროს სხდომის საოქმო ჩანაწერით.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი